ვ. ჩუბინაშვილი

საქართველოს სამხატვრო აკადემიის მომავალი გეგმა

საქართველოს სამხატვრო აკადემიამ, თავის ხუთი წლის არსებობის განმავლობაში განვლო რამოდენიმე შინაარსობრივი საფეხური შინაგანი ზრდისა და თავის სტრუქტურისა და ფორმების ჩამოყალიბების საქმეში.

დაარსებიდან მოყოლებული დღევანდლამდე აკადემიის მუშაობა მძიმე სიძნელეებში მოუხდა ორგანიზაციული ჩამოყალიბება. ამ ხნის განმავლობაში აკადემია შეჩერდა იდეურათ იმ მიმართულებაზე რომელიც ნაკარნახევია ცხოვრების სინამდვილით და თანადროულობის მიერ წამოყენებულია სამხატვრო კულტურის პრობლემების შესაფერისათ გადაჭრის აუცილებლობათ.

პირველი ორი წლის უსისტემობის თანდათანო-

ბიდი გამოსწორებით, აკადემია მიუახლოვდა უმაღლეს სასწავლებლის გარკვეულ პროგრამას, რომელიც შეიცავს ოთხ ფაკულტეტს: არქიტექტურის, გრაფიკის, ქანდაკების და ფერებით წერის.

გარდა ამ ვრცელ სამოსწავლო გეგმისა, რომელიც შეიცავს ამ დარგთა საგნების სპეციალ სამხატვრო დისციპლინების დიფერენციალურ ცხრილს, უკანასკნელ ორ წელში შემოღებულია აგრეთვე პოლიტმინიმუმის სპეციალური საგნები.

როგორც დაგვანახა პროგრამის სწორედ ამ ნაწილის პრაქტიკულმა და თეორიულმა შესწავლამ, პოლიტიკურმა საგნებმა მიიღეს ცალკე დამოუკიდებელ დარგის ხასიათი, და ამიტომაც განზრახულია მომავალში ეს ნაწილი დაყენებულ იქნას შემდეგნაირად: I კურსზე იკითხება პოლიტიკური ეკონომია და საბჭოთა მშენებლობა მე-II კურსზე—საბჭოთა კონსტიტუციის საფუძვლები და ეკონომიური პოლიტიკა და მე-III კურსზე კომუნისტურ პარტიის ისტორია.

სამხატვრო დისციპლინების სპეციალ დარგთა შორის განზრახულია ფეოებით ფაკულტეტზე ცალკე ფერებითი წერის ტეხნიკის საგნის შემოღება, ქანდაკების ფაკულტეტზე კერამიკულ სახელოსნოების გაფართოება, გრაფიკის ფაკულტეტზე ეგრეთ წოდებულ „ოფორტის“ სახელოსნოების დაარსება, საარქიტექტურო ფაკულტეტზე კი დაბალ გეოდეზიის ეპიზოდიური ხასიათის კურ·ის ნაცვლად მუდმივ სპეციალურ კურსის შემოღება.

რასაკვირველია, პროგრამის ასეთი გაფართოება მოითხოვს შტატის გადიდებასთან ერთად, უპირველესად ყოვლისა აგრეთვე შენობის გაფართოებას, ახალი კლასების მოწყობას. ბინის უქონლობა და სივიწროვე დღემდე აკადემიისათვის ძძიმე და გადაუჭრელ საკითხს წარმოადგენს, მიუხედავად იმისა რომ შენობის ნახევარი ნაწილი უკვე გადმოეცა აკადემიას სრულ საკუთრებად. ამ მხრივ აკადემიის ხუთი ან, შესაძლებელია, 10 წლის საპერსპექტივო გეგმაში დასმულია საკითხი ქანდაკებისა და ფერებით წერის ფაკულტეტებისათვის ახალი კლასების აშენების შესახებ. ამას თუ მიუმატებთ აკადემიის შენობის განთავისუფლებას კერძო მცხოვრებთაგან, შეიძლება ითქვას რომ ხუთი ან ათი წლის განმავლობაში აკადემია შესძლებს შესაფერისად მოეწყოს და პედაგოგიური მოღვაწეობა საჭირო სიმაღლეზე დააყენოს.

თუ გავიხსენებთ აკადემიის დაარსების მომენტს ხუთი წლის წინეთ, როდესაც მას არ ჰქონდა არც ფული, არც ინვენტარი, არც შესაფერისი სასწავლო ნივთები, არც შენობა გარდა ხუთი-ექვსი კლასისა, ისიც სხვის დანგრეულ სახლში და გავიხსენებთ აგრეთვე თუ რა მძიმე და შეუმჩნეველი მუშაობაა შესრულებული ამ ხუთი წლის განმავლობაში, მაშინ უფრო მეტის რწმენით შევხედავთ ჩვენი ერთად-ერთ უმაღლეს სამხატვრო სკოლის მომავალსა და წარმატებას.